სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა

გამოდის 1957 წლიდან

№9 (258) დეკემბერი, 2012 წ. www.tsmu.edu

დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ! ოცნებების ახდენის და ახალი წარმატებების ყოფილიყოს ეს წელი!!!

„სამედიცინო გაზეთის“
რედაქცია:
ვაჟა ფშაველას
გამზირი №33;
ოთახი №600
ტ.: 254-24-64;

რედაქტორი
დალი გაბეშია
ტ: 599 76-25-98
კორესპონდენტები:
მანანა ფხალაძე
ტ.: 555 29 98 27

დარეჯან კომლაძე
ტ.: 558 17 08 47
ნატო ბოლქვაძე
ტ.: 555 28 28 97
ელ.ფოსტა:
medpressa@yahoo.com

პრეზენტაცია

წიგნი ეძღვნება სარწმუნოების, მამულისა და დედაენისთვის თავდადებულთ

საქართველოს პარლამენტის **ილია ჭავჭავაძის , თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და** ეროვნული ბიბლიოთეკის დიდ საკონფერენციო დარბაზში ხალხმრავლობა იყო. აქ იყვნენ საპატრიარქოსა და სამედიცინო საზოგადოების წარმომადგენლები, მწერლები, პოეტები, ჟურნალისტები, რაც პრეზენტაციისადმი დიდი ინტერესის გამოხატულება გახლდათ. დიახ, აქ იმართებოდა საქართველოს საპატრიარქოს ჯანდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის, **წმინდა თამარ მეფის** სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, სრული პროფესორის, **არქიმანდრიტ ადამის (ვახტანგ ახალაძის**) მონოგრაფიის – **„ბიოეთიკა, გენეზისი, არსი, მერმისი“-ს** წარდგინება და სამეცნიერო კონფერენცია **„გლობალური ბიოეთიკა –ქართული ნიადაგი“.** 550 გვერდამდე, მაღალპოლიგრაფიულად შესრულებული ამ მონოგრაფიის გამოცემაში უდიდესი წვლილი შეიტანა გერმანიის **კონრად ადენაუერის** ფონდმა, ამ ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლის**, ჯანან ათილგანის**, ხელმძღვანელობით.

„წიგნის ზანდუკი“ დაურქმევია ავტორს სარჩევისთვის და მეტად ორგინალურადაც.

პირთამდე სავსეა ეს „ზანდუკი“ უძვირფასესი „მარგალიტებით“, რომლის დათვალიერებისას აუცილებლად გაგიჩნდება სურვილი იმისა, რომ დაუყოვნებლივ, თვალმოუწყვეტლივ წაიკითხო ეს წიგნი...

მონოგრაფია ფუნდამენტური მეცნიერული ნაშრომია ჩვენს ქვეყანაში და შეიცავს არაერთ სიახლეს და, რაც მთავარია, აქ პასუხია გაცემული მრავალ პრობლემურ კითხვაზე, რომლებიც ჩნდება ორგანოთა გადანერგვის, აბორტის, სუროგატული დედობის, პლასტიკური ქირურგიის, გენური მედიცინის, ევთანაზიის და სხვა ბიოსამედიცინო სიახლის სულიერ-ზნეობრივი შეფასების მცდელობისას.

„ჩვენ არ გვაქვს უფლება თანამედროვე ცივილიზაციის ყველა უბედურების საწყისად მეცნიერება დავსახოთ. ადამიანი უბრალოდ სულიერად მოუმზადებელი შეხვდა მეცნიერულ აღმოჩენებს. პიროვნების სულიერი განვითარების პროცესი მეტად ჩამორჩა ტექნიკურ პროგრესს და, რადგან ერთი მეორეს არ განაპირობებს, დაირღვა წონასწორობა; ამან კი წარმოშვა საშიშროება და ჩვენ წინაშე დააყენა მრავალი გადაუჭრელი პრობლემა“, – ეს სიტყვები წიგნს აქვს წამძღვარებული,რომელიც ეკუთვნის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესს და უნეტარესს **ილია მეორეს**, რომელიც ლაიტმოტივად გასდევს მონოგრაფიას თავიდან ბოლომდე.

პრეზენტაციაზე გამომსვლელთაგან ყველამ უაღრესად დადებითი შეფასება მისცა მონოგრაფიას.

„მოხარული ვართ, რომ მხარს ვუჭერთ საქართველოში არქიმანდრიტი ადამისა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს მეცნიერული ანალიზის გაძლიერებას ბიოეთიკაში. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებანი დღეს 21-ე საუკუნის ყველაზე მოწინავე ტექნოლოგიებითაა გაჯერებული, ამიტომაც მისი ბიოეთიკის ასპექტები წარმოადგენს ფართო განხილვის საგანს რელიგიურ საზოგადოებებში, მეცნიერულ და აკადემიურ წრეებში“, – განაცხადა პრეზენტაციაზე კონრად ადენაუერის ფონდის კავკასიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ჯანან ათილგანიმ.

დასასრულ, მონოგრაფიის მიზანსა და ამოცანებზე, ისაუბრა წიგნის ავტორმა, არქიმანდრიტმა ადამმა და მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას.

ლამაზი წიგნის პრეზენტაცია ლამაზად დასრულდა...

ვსარგებლობთ შემთხვევით და, მონოგრაფიის გამოცემასთან ერთად, არქიმანდრიტ ადამს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ღვთის წყალობას და შემდგომ წარმატებებს.

დალი გაბეშია

ინსაიტ – ბოლონიის სტანდარტებით

სამედიცინო განათლების მოდერნიზაციის კვალდაკვალ

2012 წლის ნოემბერში ქალაქ კიევში მიმდინარეობდა ტემპუსის პროექტის – „დიპლომამდელი სამედიცინო განათლების მოდერნიზაცია ევროგაერთიანების აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნებში“ - *MUMEENA*-ს კონფერენცია, სადაც მიწვეული გახლდით მომხსენებლის რანგში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან.

მონაწილეების წინაშე წარვსდექი მოხსენებით – „სამეცნიერო უნარ-ჩვევების განვითარება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში“. კონფერენციაში, ასევე, მონაწილეობდნენ ბრიტანელი, ესპანელი, იტალიელი, უკრაინელი ანიზატორებმა, აღნიშნეს, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი კვალდაკვალ მისდევს ბოლონიის პროცესის სტანდარტებს, რასაც ადასტურებს კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის, სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის, პროფესორ-მასწავლებელთა გადამზადების ტრენინგ-ცენტრის შექმნა და განვითარება. დადებითად შეფასდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლაბორაცია. აზერბაიჯანელმა და უკრაინელმა კოლეგებმა გამოთქვეს სურვილი, რომ გაითვალისწინებენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გამოცდილებას და აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ *MUMEENA* – ს პროექტის განვითარებაში.

ლუიზა გაბუნია,
ასოცირებული პროფესორი, თსსუ-ის სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის დირექტორი

კონფერენცია

ტრადიციული, რიგით მეხუთე...

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩინებული ტრადიცია დამკვიდრდა: ყოველწლიურად, როგორც წესი, ტარდება კონფერენცია ბავშვთა და მოზარდთა მედიცინაზე. მიმდინარე წელს იგი რიგით მეხუთე იყო. წინა წლების მსგავსად, კონფერენციის ორგანიზაციაში მონაწილეობდნენ თსსუ-ის **ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის მიმართულება, ი. ფაღავას სახელობის პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს პედიატრთა ასოციაცია და ფონდი „სიჯანსაღე“**. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობა პირადად დამეკისრა.

კონფერენციის ფორმატი ისეთივე იყო, როგორც წინა წლებში. გადაწყდა არ მოხსენებულიყო წმინდა სამეცნიერო ხასიათის ნაშრომები. წარმოდგენილი პრეზენტაციები მხოლოდ პრაქტიკული ხასიათის უნდა ყოფილიყო. პროგრამაში შეტანილი 25 მოხსენება (რომლებიც დაისტამბა კონფერენციის მასალებში) პირობითად სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: **პრობლემური ხასიათის, საერთაშორისო გაიდლაინები სამამულო ავტორების კომენტარით, ინფორმაცია ამა თუ იმ მედიკამენტსა თუ ფორმულაზე (იგულისხმება საკვები ნარევები) არსებული მიდგომების გათვალისწინებით.**

პირველი ჯგუფი შეადგინა შემდეგმა მოხსენებებმა: პრობლემური რატებით მკურნალობის ფონზე (ქ. მათიაშვილი, ნ. მანჯავიძე, თ. ღონღაძე).

განხილული იყო კლინიკური რეკომენდაციები: კვებისმიერი ალერგიის გასტროინტესტინური გამოვლინებები ადრეული ასაკის ბავშვებში (ნ. უბერი, ე. უბერი, თ. კუტუბიძე, მ. ჩიქოვანი, ბ. კულუმბეკოვი), ენურეზი ბავშვთა ასაკში (ნ. კვირკველია, გ. ჩიტაია, დ. კვირკველია), მწვავე ბრონქიოლიტის მართვა ბავშვებში (თ. ღონღაძე), ათეროსკლეროზის პრევენცია იწყება ბავშვობიდან - თ. კუტუბიძე).

წამლები (ყ. ფაღავა); წამლისმიერი ალერგია – განახლებული პრაქტიკული პარამეტრები (რ. ქარსელაძე); მეორადი სასქესო ნიშნების ადრეული გაჩენა (ადრენარქე, ტელარქე) – პედიატრის ტაქტიკა (ი. ფაღავა), კავასაკის დაავადება (მ. იოსელიანი); გლუკოზა-გალაქტოზას მალაბსორბცია ახალშობილებში (თ. გოთუა, ი. ფავლენიშვილი, მ. ონიანი, ც. ფარულავა, მ. ჩხაიძე); ST სეგმენტისა და T კბილის ცვლილებებათა კლინიკური ღირებულება პარკუჭთა რეპოლარიზაციის, ნაადრევი აგზნების პარციალურ სინდრომთა და P-Q ინტერვალის შემცირების არსებობისას ბავშვთა და მოზარდთა ასაკში (ნ. ჯობავა, გ. ჩახუნაშვილი, კ. ჩახუნაშვილი, დ. ჩახუნაშვილი); პედიატრიული გასტროენტეროლოგიის გამოწვევები (ყ. ფაღავა, ნ. უბერი); პულმონური ჰემორაგია-ჰემოსიდეროზი (ნ. ცხაკაია, მ. ჩიქოვანი, ა. შენგელაია); კლინიკურ-დერმატოლოგიური დიაგნოზი: მორფოლოგიური რეაქციის ტიპისა და განაწილების მიხედვით (ლ. ჟორჟოლიანი); ეპილეფსიური სინდრომების მართვა ჩვილ და ადრეული ასაკის ბავშვებში (ნ. გელაძე, ნ. ხაჭაპურიძე, ს. ბახტაძე, ნ. კაპანაძე); ნეიტროპენიის მართვის ალგორითმი პედიატრიულ პრაქტიკაში (მ. კვეზერელი-კოპაძე, ა. კვეზერელი-კოპაძე, ზ. მთვარელიძე); ანტიბიოტიკოთერაპია _ თანამედროვე გამოწვევები (ი. კორინთელი), რკინადეფიციტური ანემიით დაავადებულ ადრეული ასაკის ბავშვთა ფსიქომოტორული განვითარება რკინის პრეპარატებით მკურნალობის ფონზე (ნ. ბერიძე, ნ. ბაბალაძე); ცალკეული მედიკამენტისა თუ საკვები ნარევების შესახებ მასალები გაშუქდა მოხსენებებში: ბავშვთა ასაკში სიყვითლის კომპლემენტური მკურნალობა ბიორეგულაციური მედიცინის საშუალებებით (ე. ზერეკიძე); ლაქტიჯენ-B-ს ეფექტურობა სასუნთქი სისტემის ბაქტერიული ინფექციების პრევენციაში (თ. ღონღაძე); გერმანული ფირმა “ჰუმანა” – კვლავ სიახლეები (რ. მაზმანიშვილი); ბიოპაროქსი და ერესპალი სასუნთქი სისტემის დაავადებების კომპლექსურ თერაპიაში (ყ. ფაღავა); კლაციდი: რეკომენდაციები, უსაფრთხოების პროფილი (ნ. უბერი, ე. უბერი); მაკროლიდების ადგილი სამედიცინო არსენალში (ყ. ფაღავა); იმუნომოდულაცია ბავშვებსა და მოზარდებში - იმუნორიქსი (ყ. ფაღავა); ანტიბიოტიკები სოლუტაბის ფორმით – საიმედო ფორმულა (ნ. უბერი, ე. უბერი).

კონფერენციის ბოლოს, ესეც უკვე ჩვეულებად იქცა, ჩატარდა კონკურსი სადიაგნოსტიკო გამოცანების გადაწყვეტაში.

ღონისძიებას ორასამდე პედიატრი და ოჯახის ექიმი დაესწრო როგორც თბილისიდან, ასევე, რეგიონებიდან. მონაწილეთა საერთო აზრით, კონფერენცია ფრიად წარმატებულად ჩატარდა, რაც განპირობებულ იქნა პროგრამის მრავალფეროვნებითა და, პირველ რიგში, მისი უპირატესად პრაქტიკული ხასიათით.

პროფესორი **ყარამან ფაღავა**

არჩევნები

ფარმატებული სტუდენტური ცხოვრებისთვის

ჩატარდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები, რომლის პრეზიდენტად 2 წლის ვადით არჩეულია კახა აბულაძე, რომელიც საუბრობს სამომავლო გეგმებზე...

უპირველეს ყოვლისა, მივესალმები **„სამედიცინო გაზეთის“** მკითხველს – სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალს, ადმინისტრაციას, მინდა მადლობა გადავუხადო რედაქციას, რომ მომეცა საშუალება, მესაუბრა სტუდენტურ ცხოვრებაზე და სტუდენტური თვითმმართველობის სახელით მიმომეხილა მიმდინარე აქტივობები და სამომავლოდ დაგეგმილი ღონისძიებები.

დასაწყისშივე მინდა აღვნიშნო, რომ სტუდენტური თვითმმართველობის დღევანდელი შემადგენლობა, 126 დელეგატის სახით, არჩეულია 2 წლის ვადით, 2012 წლის 9 ნოემბერს ჩატარებული სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების შედეგად; მსურს თითოეულ კანდიდატს კიდევ ერთხელ მივულოცო არჩევნებში გამარჯვება, ვუსურვო წარმატებები და განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო თითოეულ მათგანს მხარდაჭერისთვის. გაზეთის საშუალებით მივმართავ თსსუ-ის სტუდენტებს, რომ ჩვენი ერთიანობა, გუნდური გარემო, „მეტი ჩვენობის“ პრინციპი იქნება გარანტი წარმატებული, სასიამოვნო და აქტიური სტუდენტური ცხოვრებისა.

რაც შეეხება სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობას, მინდა აღვნიშნო, რომ სულ რაღაც ერთ თვეში ჩატარდა 30-მდე ღონისძიება. საილუსტრაციოდ რამდენიმე მინდა გამოვყო – ტრადიციული „სტუდენტთა საერთაშორისო დღე“, რომლის განმავლობაშიც 11 ღონისძიება ჩატარდა უნივერსიტეტში და დასკვნით კონცერტზე სტუდენტებს მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ზურაბ ვადაჭკორია**, ასევე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე, ბატონი **რატი ბრეგაძე,** მინდა გამოვყო, ასევე, სამეცნიერო მიმართულების კონფერენცია-სემინარები: „ელექტროკარდიოგრამა ნორმასა და პათოლოგიაში“, „შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე“, პოლონელი კლინიცისტის მიერ ჩატარებული ტრეინინგი თემაზე _ „პირველადი სამედიცინო დახმარება“, ხაზი უნდა გავუსვა აუცილებლად ჩვენს სოციალურ აქტივობებს – უანგარო დონაციის პროპაგანდა, საქველმოქმედო საღამოები ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის, შოუბიზნესის ცნობილი წარმომადგენლების მონაწილეობით ჩატარებული საქველმოქმედო კონცერტი – „სამშობლო, როგორც უფალი“ – ხატისოფლის წმინდა გიორგის სახელობის სამონასტრო კომპლექსის სარეაბილიტაციოდ, აღსანიშნავია, ასევე, ყოველკვირეული სპორტული ხასიათის მქონე აქტივობები, რომლებიც ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდას უკავშირდება და მათში განსაკუთრებით მაღალია უცხოელ სტუდენტთა მონაწილეობა. სტუდენტური ცხოვრება სამედიცინო უნივერსიტეტში მაღალი აქტიურობით ხასიათდება, რის საფუძველსაც, სტუდენტთა აქტიურობასთან ერთად, ჩვენი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დიდი მხარდაჭერა წარმოადგენს. სტუდენტების სახელით მადლობა მინდა გადავუხადო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ **ზურაბ ვადაჭკორიას,** კანცლერს, ბატონ **ზურაბ ორჯონიკიძეს, ფაკულტეტის დეკანებსა** და **ადმინისტრაციას** სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერისთვის.

სამედიცინო უნივერსიტეტში კულტურული, სპორტული, სოციალური, სამეცნიერო და საგანმანათლებლო ღონისძიებები რეგულარულ ხასიათს მიიღებს და მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება, მაგრამ მინდა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი გამოვყო, რომელიც სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს. ეს გახლავთ სტუდენტთა კანონიერი ინტერესების და მათი უფლებების დაცვა. სწორედ ამისათვის ჩვენი ინიციატივით შეიქმნა სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი, რომელიც აქტიურად შეისწავლის სტუდენტურ პრობლემებს, მოისმენს მათ წინადადებებს და წარუდგენს ფაკულტეტის და წარმომადგენლობით საბჭოს განსახილველად. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტური თვითმმართველობის გამჭვირვალე და ეფექტური საქმიანობისთვის გაიზრდება მონიტორინგის დეპარტამენტის ფუნქცია და უფლებამოსილება, რომელიც სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის მაკონტროლებელი სტრუქტურაა.

სტუდენტებთან კომუნიკაცია და ინფორმაციის გავრცელება სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში უმნიშვნელოვანესია და ამ ეტაპზე სტუდენტურ ღონისძიებებზე ინფორმაციას ვაწვდით სოციალური ქსელების, სატელეფონო კავშირების, ვერბალური კომუნიკაციის და სხვა საშუალებების გამოყენებით, რასაც 2013 წლიდან აქტიურად დაემატება ჩვენი ინიციატივით შექმნილი ახალი სტუდენტური სოციალური ქსელი - STUNET“, რომლის საშუალებითაც ჩვენ შევძლებთ მის ბაზაზე რეგისტრირებულ სტუდენტებს, ერთდროულად მივაწოდოთ ინფორმაცია მათთვის საინტერესო სტუდენტური პროექტების და ღონისძიებების შესახებ.

საქართველოში ყველაზე მეტი უცხოელი სტუდენტი სამედიცინო უნივერსიტეტს ჰყავს და, დღევანდელი მონაცემებით, მათი რიცხვი 1400-ს უტოლდება, რაც, არა მარტო სამედიცინო უნივერსიტეტის, არამედ ქვეყნისთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა. ჩვენ მათი სახით ძალიან კარგი საქმიანი მეგობრები გვყავს, ისინი ხომ მათი ქვეყნების ერთგვარი “ელჩები” არიან და თითეული ჩვენგანის მთავარი ამოცანაა ხელი შევუწყოთ მათ აქტიურ ჩართულობას სტუდენტურ ცხოვრებაში. ამ მიზნით ხშირად მოეწყობა ტურისტული გასვლები საქართველოს სხვადასხვა ისტორიული თუ ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, განახლებული ქალაქების, სხვადასხვა რეგიონის გასაცნობად, ასევე, სპორტული ტურნირები, შემოქმედებითი საღამოები და ა.შ.

ბოლოს, მინდა მოკლედ მიმოვიხილო 2013 წლის პრიორიტეტები, რომელთაც სტუდენტური ინტერესები განაპირობებს:

1. სტუდენტების მონაწილეობის ხელშეწყობა დასაქმების და სტაჟირების პროგრამებში და ამ მიმართულებით უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებთან ერთად აქტიურად ვმუშაობთ, რომ მაღალი „GPA“ რეიტინგის მქონე სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა გაიარონ სტაჟირება კლინიკებში;

2. საერთაშორისო ურთიერთობებისა და გაცვლითი პროგრამების გაზრდა. ამ მიმართულებით მზადდება რამდენიმე პროექტი, რომელშიც სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები ახალი სემესტრიდან აქტიურად ჩაერთვებიან და აქაც შერჩევა მოხდება კონკურსის პრინციპით, მოგეხსენებათ, ჩვენ ვთანამშრომლობთ „ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციასთან“ და გაცვლითი პროექტები, რაც ამ ორგანიზაციასთან გვაკავშირებდა, გაგრძელდება. აქტიურად ვთანამშრომლობთ, აგრეთვე, ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების სტუდენტურ ორგანიზაციებთან და ეს კავშირები სამომავლოდ გამოგვადგება ჩვენი უნივერსიტეტის და ქვეყნის საკეთილდღეოდ;

3. მაღალი „GPA“ რეიტინგის მქონე სტუდენტების წახალისება სოციალური ტურებით, ზამთრისა და ზაფხულის სკოლებით, აქტიური დასვენების ხელშეწყობა.

ბოლოს მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი საუბრით არ ამოწურულა სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობა და ჩვენი გუნდის იდეები, თითოეულ სტუდენტს მინდა მოვუწოდო აქტიურობისკენ, საერთო საქმიანობაში ჩართვისკენ, ეს ორგანიზაცია არის სტუდენტების და თავად უნდა გადაწყვიტონ როგორ მართონ მათი ყოველდღიური ცხოვრება უნივერსიტეტში, ცხოვრება იმ გარემოში, სადაც ყველას „სტუდენტობა გვაერთიანებს“, ყველას მომავალი პროფესია, მიზნები, სურვილები, სამედიცინო უნივერსიტეტის, ქვეყნის სიყვარული გვაერთიანებს და კარგი იქნება თუ ჩვენი სტუდენტების – საზოგადოების ყველაზე დიდი მამოძრავებელი ძალის – ენერგია მოხმარდება საერთო წარმატებებისა და საერთო მიზნებისკენ მიმართული საქმიანობის წარმოებას.

გამორჩეული მასშტაბით და მნიშვნელობით

2012 წლის 9 ნოემბერს სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები გაიმართა, ვესაუბრებით არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, თსსუ-ის სტუდენტთა და ახალგაზრდა სპეციალისტთა პროფესიული ინტეგრაციის სამსახურის უფროს სპეციალისტს, ***გოგი ჩიქოვანს.***

– უწინარესად, გვაინტერესებს თქვენი, როგორც კომისიის თავმჯდომარის, აზრი სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით, როგორ ჩაიარა საარჩევნო პროცესმა?

– უპირველეს ყოვლისა, მივესალმები „სამედიცინო გაზეთის“ მკითხველს და მადლობას მოგახსენებთ, რომ შესაძლებლობა მომეცით ჩვენი გაზეთის საშუალებით მივაწოდო მას ინფორმაცია სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებზე, რომელიც გახლდათ ბოლო პერიოდში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. ამ არჩევნების შედეგად უნივერსიტეტის 6000-ზე მეტმა სტუდენტმა, მათ შორის, 41 ქვეყნის მოქალაქე უცხოელმა, აირჩია სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანო – სტუდენტური თვითმმართველობა 126 დელეგატის შემადგენლობით. აღნიშნული არჩევნების შედეგად დაკომპლექტდა, ასევე, ფაკულტეტის საბჭოებში სტუდენტებისთვის გამოყოფილი კვოტა, შესაბამისად, ბუნებრივია ის მაღალი ინტერესი, რომელიც დაფიქსირდა არჩევნების მიმართ როგორც წინასაარჩევნო, ისე არჩევნების შემდგომ პერიოდში. სასაუბრო მართლაც ბევრი მაქვს, მაგრამ ვეცდები მოკლედ მიმოვიხილო მთელი პროცესი და ხაზი გავუსვა რამდენიმე უმნიშვნელოვანეს მომენტს, რომელმაც პოზიტიური და გადამწყვეტი როლი შეასრულა არჩევნების სამართლიანად და ობიექტურად ჩატარებაში. უპირველესად, ეს გახლდათ საარჩევნო სისტემა, რომელიც წარმატებით დაინერგა სამედიცინო უნივერსიტეტში და უზრუნველყო კონკურენტული წინასაარჩევნო გარემოს შექმნა, თანაბარი პირობები მონაწილე სტუდენტური ორგანიზაციებისთვის და პროცესის მაქსიმალური გამჭვირვალობა.

არჩევნები გაიმართა უმაღლესი განათლების შესახებ კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და სტუდენტური თვითმმართველობის საარჩევნო დებულების საფუძველზე პირდაპირი, ფარული, საყოველთაო კენჭისყრით, პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით. ცენტრალური საარჩევნო კომისიის 5 წევრი დაკომპლექტდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, სტუდენტურ თვითმმართველობასა და უნივერსიტეტში მოქმედ სტუდენტურ ორგანიზაციებთან შეთანხმებით; სტუდენტური ორგანიზაციების გარდა სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფებსაც მიეცათ არჩევნებში დარეგისტრირების უფლება; რეგისტრაციის პერიოდი გახანგრძლივდა და მაქსიმალურად გამარტივდა სარეგისტრაციო პროცედურები; რეგისტრაციისთვის აუცილებელი სტუდენტების მხარდამჭერთა სიის რაოდენობა შემცირდა ფაკულტეტზე რეგისტრირებული ამომრჩევლის (სტუდენტების) 5%-მდე; ფაკულტეტებზე შექმნილ 5 საარჩევნო უბანზე საუბნო საარჩევნო კომისია დაკომპლექტდა 9 წევრით, აქედან 5 წევრი, უნივერსიტეტის სტუდენტურ ორგანიზაციებთან შეთანხმებით, წარადგინა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, დანარჩენი 4 წევრი თანაბრად დააკომპლექტეს საარჩევნო სუბიექტებმა.

არჩევნებში დარეგისტრირდა 4 სტუდენტური ორგანიზაცია (საინიციატივო ჯგუფი): **„სტუდენტთა დამოუკიდებელი გაერთიანება“, „თავისუფალ მედიკოსთა გაერთიანება“, „საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგა“** და **„მედიკოს სტუდენტთა საზოგადოება“,** აგრეთვე – მაჟორიტარობის 70 კანდიდატი. აღნიშნული საარჩევნო სუბიექტებისთვის საარჩევნო კომისიამ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ერთად, უზრუნველყო თანაბარი პირობები წინასაარჩევნო კამპანიისთვის, გამოეყოთ საუნივერსიტეტო დარბაზები სტუდენტებთან შეხვედრებისთვის, სპეციალური სტენდები საარჩევნო პროგრამების და სააგიტაციო მასალების გამოსაკრავად, თანაბრად დაიბეჭდა თითოეული საარჩევნო სუბიექტისთვის სააგიტაციო პოსტერები. ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, ჩვენი, როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის, უმთავრესი ამოცანა იყო მაქსიმალური ინფორმირება მოგვეხდინა სტუდენტების და კანდიდატების საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირების, განგვემარტა მათთვის თავიანთი უფლება-მოვალეობები, საარჩევნო პროცესი გაგვეხადა მაქსიმალურად საჯარო და გამჭვირვალე. კენჭისყრის დღეს უზრუნველვყავით ხმის მიცემის და დათვლის პროცესის უწყვეტი ვიდეო-გადაღების რეჟიმი.

მინდა აღვნიშნო, რომ კომისიამ ყველა ზემოჩამოთვლილ საკითხს თავი წარმატებით გაართვა: სტუდენტების ინფორმირებისთვის დაიგეგმა და ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები; მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა კონსულტაციები კანდიდატებთან; ამოქმედდა ცხელი ხაზი; ჩამოყალიბდა მობილური ჯგუფი, რომელიც მონიტორინგს ახორციელებდა სასწავლო კორპუსებში წინასაარჩევნო პერიოდში და კენჭისყრის დღეს; კომისიის საქმიანობის მეტი გამჭვირვალობისთვის შეიქმნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური FACEBOOK-ის გვერდი, სადაც განთავსდა ყველა საჯარო დოკუმენტი (საარჩევნო დებულება, კომისიის განკარგულებები, ამომრჩეველთა ერთიანი სია) და კომისიის დაგეგმილი აქტივობები. ასევე, აღვნიშნავ, რომ დეკანატებიდან მოწოდებული სტუდენტთა სიის საფუძველზე მოხდა ფორმირება ამომრჩეველთა ერთიანი სიის, რომელიც განთავსდა ინტერნეტ სივრცეში და სტუდენტებს, 2 კვირის განმავლობაში, ჰქონდათ შესაძლებლობა ონლაინ რეჟიმში გადაემოწმებინათ საკუთარი თავი სიაში და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მოემართათ საარჩევნო კომისიისთვის. ყველა საარჩევნო სუბიექტს ჰყავდა წარმომადგენელი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, რომლებიც ესწრებოდნენ კომისიის სხდომებს და მაქსიმალურად იყვნენ ჩართულები საარჩევნო პროცესში. მეტი გამჭვირვალობისთვის საარჩევნო კომისიამ საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებთან კონსულტაციების საფუძველზე ოფიციალურად მოიწვია საქართველოში მოქმედი 3 ყველაზე ავტორიტეტული სადამკვირვებლო ორგანიზაცია: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო და სამართლიანი არჩევნები დემოკრატიული საზოგადოებისთვის.

არჩევნების პერიოდში ნდობა საარჩევნო კომისიის და საარჩევნო პროცესის მიმართ იყო მაღალი, რისი ნათელი დადასტურებაა უპრეცედენტოდ მაღალი აქტივობა, რამაც შეადგინა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 46 პროცენტი (2990 სტუდენტი). მიუხედავად დაძაბული კონკურენციისა და ამომრჩეველთა მაღალი აქტივობისა, წინასაარჩევნო პერიოდში და კენჭისყრის დღეს არცერთ ინციდენტს და ექსცესს ადგილი არ ჰქონია, მთელმა პროცესმა მშვიდ გარემოში ჩაიარა, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო კანდიდატებს და სტუდენტებს, რომლებიც მონაწილეობდნენ არჩევნებში.

– მართლაც სერიოზული და მეტად შრომატევადი სამუშაოა გაწეული, მაგრამ პოზიტიურთან ერთად, დამკვირვებლების მხრიდან, გავრცელდა ინფორმაცია გარკვეულ დარღვევებზე მედიცინის ფაკულტეტის უბანზე. ხომ ვერ გვეტყვით კონკრეტულად რა დარღვევებზეა საუბარი?

– გმადლობთ ამ შეკითხვისთვის. ცალსახად კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, რომ საარჩევნო პროცესი იყო გამჭვირვალე და სამართლიანი. ეს არ გახლავთ მხოლოდ ჩემი სუბიექტური აზრი, არამედ იმ ავტორიტეტული სადამკვირვებლო და სტუდენტური ორგანიზაციების შეფასებებია, რომლებიც აკვირდებოდნენ არჩევნებს. თუნდაც ის ფაქტი, რომ ახლა ვსაუბრობთ გარკვეულ ხარვეზებსა და დარღვევებზე, რომელიც დაფიქსირდა დამკვირვებლების მიერ, მიუთითებს პროცესის გამჭვირვალობაზე. რაც შეეხება პროცედურულ დარღვევებს მედიცინის ფაკულტეტის №1 უბანზე, გამოწვეული იყო ობიექტური გარემოებებით და, დამკვირვებლების შეფასებებით არანაირი გავლენა არჩევნების შედეგებზე არ მოუხდენია. მიუხედავად იმისა, რომ 14 ნოემბერს, პრესკონფერენციაზე, როცა საარჩევნო კომისიამ გამოაქვეყნა არჩევნების საბოლოო შედეგები, განმარტებები გავაკეთე და ყველა დასმულ შეკითხვას ამომწურავი პასუხები გავეცი, ამჯერად, გაზეთის საშუალებით, კიდევ ერთხელ განვმარტავ კონკრეტულად თუ რა დარღვევაზეა საუბარი. პირველ რიგში, აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ მედიცინის ფაკულტეტის საუბნო საარჩევნო კომისიამ 24 საათის განმავლობაში უწყვეტად იმუშავა, ეს იყო ნამდვილი გმირობა კომისიის წევრების მხრიდან, რისთვისაც მადლობას ვუხდი თითეულ მათგანს დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებისთვის.

აღნიშნულ უბანზე კენჭისყრის პროცედურაში მონაწილეობა მიიღო 1749 სტუდენტმა, რაც გახლავთ რეკორდული მაჩვენებელი ერთ უბანზე გატარებული ამომრჩეველთა რაოდენობის მხრივ. შესაბამისად, სწორედ ეს იყო ძირითადი მიზეზი საარჩევნო დებულებაში გათვალისწინებული ხმის დათვლის პროცედურაში ცვლილებებისა, კერძოდ, ხმის დათვლის პროცესში კომისიის 3 წევრის ნაცვლად მონაწილეობდა 5 წევრი. ამავდროულად, კომისიის გადაწყვეტილებით, უბანზე დასაშვები დამკვირვებლების მაქსიმალური რაოდენობა 3-დან გაიზარდა 5-მდე, რათა ჰქონოდათ შესაძლებლობა სრულად დაკვირვებოდნენ პროცესს. აგრეთვე, მედიცინის ფაკულტეტის უცხოენოვანი სექტორის პირველი კურსის რამდენიმე სტუდენტი, რომლებიც დეკანატებიდან საარჩევნო კომისიისთვის სტუდენტთა სიის მოწოდების შემდგომ აღირიცხნენ (არჩევნებამდე 20 დღით ადრე), არ აღმოჩნდნენ ამომრჩეველთა ერთიან სიაში. საარჩევნო კომისიამ დეკანატიდან გამოითხოვა აღნიშნული სტუდენტების სია და უზრუნველყო მათი ლეგიტიმური უფლება, მონაწილეობა მიეღოთ ხმის მიცემის პროცედურაში. ეს გახლდათ ის ფაქტები, რაც დაფიქსირდა მედიცინის ფაკულტეტის უბანზე, ხოლო დანარჩენ 4 საარჩევნო უბანზე, დამკვირვებლების მიერ არცერთი დარღვევა არ დაფიქსირებულა.

– როგორია არჩევნების შედეგები?

– არჩევნებში, როგორც მოგახსენეთ, მონაწილეობდა 4 საარჩევნო სუბიექტი. საბოლოო შედეგების მიხედვით სტუდენტურ თვითმმართველობაში პროპორციული და მაჟორიტარული მანდატების საერთო რაოდენობა ასე გადანაწილდა:

სტუდენტთა დამოუკიდებელი გაერთიანება – 106 მანდატი;

თავისუფალ მედიკოსთა გაერთიანება – 18 მანდატი;

საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგა – 2 მანდატი.

რაც შეეხება საარჩევნო სუბიექტს – **„მედიკოს სტუდენტთა საზოგადოებას“**, ვერ გადალახა 5%-იანი საარჩევნო ბარიერი.

2012 წლის 17 ნოემბერს გამართულმა ახალარჩეული სტუდენტური თვითმმართველობის გენერალურმა ასამბლეამ სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტად აირჩია **კახა აბულაძე,** ვიცე-პრეზიდენტებად: **გიორგი მიკუჩაძე, თამარ საგანელიძე** და **კსენია კუმარი.**

ხაზგასმით მინდა აღინიშნოს, რომ არჩევნებში მონაწილე სადამკვირვებლო და სტუდენტური ორგანიზაციების მიერ არცერთი პრეტენზია და საჩივარი შედეგებთან დაკავშირებით საარჩევნო კომისიაში არ დაფიქსირებულა.

ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას ვუხდი უნივერსიტეტის ადმინისტრაციას მხარდაჭერისთვის, გულისხმიერებისათვის; განსაკუთრებით – რექტორს, პროფესორ **ზურაბ ვადაჭკორიას,** კანცლერს, ბატონ **ზურაბ ორჯონიკიძეს,** აგრეთვე ყველა იმ ადამიანს, რომელიც ჩართული იყო საარჩევნო პროცესში და მონაწილეობდა არჩევნების ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში. ახალარჩეულ სტუდენტურ თვითმმართველობას კი ვუსურვებ წარმატებებს მომავალ საქმიანობაში ჩვენი უნივერსიტეტის, სტუდენტების და ქვეყნის საკეთილდღეოდ. ამასთანავე, დამდეგ შობა-ახალწელს ვულოცავ მშობლიური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, აკადემიურ პერსონალს, სტუდენტობას, თითოეულ თანამშრომელს და, რა თქმა უნდა, „სამედიცინო გაზეთის“ შემოქმედებით კოლექტივს. ბედნიერების, სიხარულის და ოცნებების ახდენის წელი დამდგარიყოს!



სტუდენტური გვერდი

ძვირფასო მკითხველო! მინდა დიდი სიხარული და მადლიერება გამოვხატო იმის გამო, რომ სტუდენტური გვერდის რედაქტორობა მხვდა წილად და შესაძლებლობა მომეცა მცირედი წვლილი შევიტანო სამედიცინო უნივერსიტეტის გაზეთის სარედაქციო საქმიანობაში.

ნამდვილად სასიამოვნო და საინტერესოა, როდესაც შენ მიერ დაწერილ თუნდაც ერთ პატარა სტატიას გაზეთის ფურცლებზე იხილავ. მჯერა, რომ დროთა განმავლობაში სამუშაო ჯგუფიდან უფრო და უფრო მეტი არასტანდარტული, არატრაფარეტული, ინოვაციური იდეა წამოვა და სტუდენტების თანამედროვე, პროგრესული აზროვნების შედეგს ჩვენი გაზეთის სტუდენტურ გვერდებზე იხილავთ.

ნინო არჩვაძე, მედიცინის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი

ფესტივალური ფესტივალი

2012 წლის დეკემბერში, ერთი კვირის განმავლობაში, მაყურებელს საშუალება ჰქონდა თვალი ედევნებინა სხვადასხვა უნივერსიტეტის მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა სპექტაკლებისთვის.

„მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა ასოციაცია“ 2012 წელს დაარსდა. მისი ინიციატივით, პირველად საქართველოში, ჩატარდა მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა ფესტივალი **„ნიღაბი“**, რომელსაც ჩვენმა უნივერსიტეტმა უმასპინძლა. ფესტივალში მონაწილეობდნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თეატრი **„ჰიგია“**, კავკასიის უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სტუდენტური თეატრი **„დასი“**, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი **„სხვენი“**, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი **„ალმა მატერი“**, თეატრი **„Dream Club“** და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის თეატრალური დასი. ფესტივალი ყოველწლიურად გაიმართება და მასში მონაწილეობას სხვადასხვა უნივერსიტეტის თეატრალური დასები მიიღებენ.

რაც შეეხება თსსუ-ის თეატრ **„ჰიგიას“**, იგი 2001 წელს, უნივერსიტეტის კულტურის ცენტრში, დაარსდა. მისი დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი თსსუ-ის პროფესორი **ნათია გუჯაბიძეა.** თეატრმა წლების განმავლობაში არაერთი სპექტაკლი წარმოადგინა და ყოველთვის დიდ მოწონებასა და ინტერესს იმსახურებდა სტუდენტებსა და, ზოგადად, მაყურებელში.

ფესტივალი 10 დეკემბერს სწორედ თსსუ-ის თეატრმა **„ჰიგიამ“** გახსნა სპექტაკლით – **„ომობანა“.** ფესტივალში მონაწილე დასების მიერ წარმოდგენილი სპექტაკლები შეაფასა ჟიურიმ შემდეგი შემადგენლობით: **თამუნა ნიკოლაძე, კახა მიქიაშვილი, გოგი თოდაძე, ვანო ხუციშვილი, ბაჩო ჩაჩიბაია, ნიკა წულუკიძე.** 9 ნომინაციიდან ხუთში თეატრ „ჰიგიას“ მსახიობებმა გაიმარჯვეს. რეჟისორმა **ვანო ხუციშვილმა** გამარჯვებულებს სასიამოვნო სიურპრიზი გაუკეთა: 2013 წელს მის მიერ დადგმულ სპექტაკლში თეატრალური ფესტივალის 9 გამარჯვებული სტუდენტი მიიღებს მონაწილეობას, რომელთაც ბატონი ვანოს მიერ არჩეული თსსუ-ის ერთ-ერთი სტუდენტი შეუერთდება.

მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა ფესტივალი ყოველ წელს შემოგვთავაზებს საინტერესო და სასიამოვნო თეატრალურ წარმოდგენებს. თეატრ „ჰიგიას“ კი მინდა განსაკუთრებული წარმატება და წინსვლა ვუსურვო.

სტუდენტური გამოფენა-გაყიდვა

სტუდენტური ცხოვრება საინტერესო და მრავალფეროვანია. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი კი ყოველთვის მხარს უჭერს სტუდენტთა ინიციატივებს. ახლახან სტუდენტური დღეების ეგიდით გაიმართა სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.

ღონისძიება მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული და მონაწილეობდა ყველა მსურველი; წარმოდგენილი იყო მრავალფეროვანი ნამუშევრები: შესანიშნავად შესრულებული ფერწერული ტილოები, ხელნაკეთი ნივთები – სამაჯურები, ყელსაბამები, საყურეები და აქსესუარები, ორიგინალური და კრეატიული ნამუშევრები, რომელთა შეძენა შეეძლო ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

ნამუშევრებმა დამსწრე საზოგადოების აღფრთოვანება და დაინტერესება დაიმსახურა. ღონისძიების ორგანიზატორებმა აღნიშნეს, რომ მსგავსი საღამოები ხშირად მოეწყობა, რითაც სტუდენტებს განტვირთვის შესაძლებლობა მიეცემათ. ყველაფერი ხომ სტუდენტთა სულიერ აღზრდასა და მათი ცხოვრების გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული.

კოკა გოგიჩაშვილი,
მედიცინის ფაკულტეტის
I კურსის სტუდენტი

„ტანგოს“ ფესტივალზე

ექიმები რომ შემოქმედებითი ნიჭითაც გამოირჩევიან, საყოველთაოდ ცნობილია. მომავალი ექიმებიც აგრძელებენ ტრადიციას და ცდილობენ თავი წარმოიჩინონ ხელოვნების ამა თუ იმ სფეროში.

ახლახან სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებმა ბედი ტანგოს

ცეკვაში სცადეს.

იდეა სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტში დაიბადა და საორგანიზაციო ჯგუფის მონდომებითა და შრომით კიდევ ერთი არაჩვეულებრივი საღამო შედგა უნივერსიტეტის III სასწავლო კორპუსის წითელ დარბაზში.

ტანგოს ფესტივალისთვის მზადება ერთი თვის წინ დაიწყო. კასტინგის შედეგად შერჩეული ათი წყვილი ერთი თვის განმავლობაში სწავლობდა ცეკვას და ემზადებოდა 19 დეკემბრისთვის. ღონისძიებამ სტუდენტებში იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ დარბაზი მაყურებელს ვერ იტევდა. მონაწილეთა ცეკვას აფასებდა ჟიური 6 კაცის შემადგენლობით: მოცეკვავე **ელენე ახმედოვა,** სპორტისა და ახლგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენელი: **ქეთი მაჭარაშვილი**, მსახიობი **გივი სიხარულიძე**, თსსუ-ის კანცლერი, ბატონი **ზურაბ ორჯონიკიძე**, ქორეოგრაფი **ია კვირიკაშვილი** და თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი **კახა აბულაძე**. ფესტივალს მუსიკალურად აფორმებდა მომღერალი **ტერეზა ფუხაშვილი**.

ჟიურის შეფასებით გამოვლინდა სამი გამარჯვებული წყვილი. პირველი ადგილის მფლობელები გახდნენ და ჟიურის ყველაზე დიდი მოწონება დაიმსახურეს **ქეთი სახვაძემ** და **დავით თევზაძემ.** მეორე ადგილზე გავიდნენ **რევაზ ლაშქარაშვილი** და **თათია ლანჩავა**. მესამე ადგილი კი წილად ხვდათ **თორნიკე ქუთათელაძესა** და **თეკლა გოგრიჭიანს.** გამარჯვებულებს გადაეცათ მედლები და პირველ ადგილზე გასული წყვილი სტუდენტურმა თვითმმართველობამ დააჯილდოვა ერთკვირიანი საგზურით ბაკურიანში. ასევე გამოვლინდა სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფავორიტი წყვილი: **რევაზ ლაშქარაშვილი** და **თათია ლანჩავა**. ფესტივალის დასასრულს სტუდენტებს სიტყვით მიმართა თსსუ-ის კანცლერმა ბატონმა **ზურაბ ორჯონიკიძემ** და თავისი კეთილგანწყობა გამოხატა იმ ფაქტის გამო, რომ თითქმის ყოველ საღამოს უნივერსიტეტის დარბაზი დაკავებულია სტუდ-

ენტების მიერ ორგანიზებული საღამოებით და მომავალ ექიმებს სტუდენტური წლების შემოქმედებითად და ლამაზად გატარება უსურვა.

ტანგოს ფესტივალმა ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა სამედიცინო უნივერსიტეტში და ვიმედოვნებ, სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტი კიდევ მრავალჯერ შემოგვთავაზებს მსგავს საინტერესო და ინოვაციურ ღონისძიებებს.

„ანსანგავებული პოეზიის“ საღამო

პოეზია ნაწილია მშვენიერებისა და ადამიანის სულისთვის ისევე საჭირო, როგორც სხეულისთვის ჰაერი. ჩვენ, ადამიანები, მიჯაჭვული ვართ დედამინას, მაგრამ მაინც ვარსკვლავებს მივჩერებივართ, ვარსკვლავებისკენ მივისწრაფვით და ვაღმერთებთ მათ, ვინც ამ მისწრაფებას აღვივებს და აცოცხლებს ჩვენში. პოეზია კი ამას ძალიან ადვილად ახერხებს.

დღევანდელ საზოგადოებაში საკმაოდ მრავლად არიან ახალგაზრდა პოეტები, რომელთა შემოქმედება ჯერ კიდევ უცნობია ფართო საზოგადოებისთვის.

11 დეკემბერს თსსუ-ის III სასწავლო კორპუსის „საშობაო დარბაზში,“ სტუდენტური თვითმმართველობის მხარდაჭერით გაიმართა ყველაზე განსხვავებული პოეზიის საღამო, სადაც მონაწილეობდნენ ახალგაზრდა „90-იანელი“ პოეტები: **ცოტნე მაისურაძე, ნიკოლო ადეიდელი, დაჩი ხურცილავა, გიორგი ბენდელიანი.** საღამოს მუსიკალურად აფორმებდნენ **ოთო ბერიშვილი** და **ირაკლი ილურიძე** (ბინგო).

პოეზიის საღამომ დიდი დაინტერესება და მოწონება დაიმსახურა.

სამედიცინო უნივერსიტეტში ძალიან ხშირად იმართება ისეთი პოეზიის საღამოები, სადაც ახალგაზრდა პოეტებს საშუალება ეძლევათ თავიანთი ნააზრევი და შემოქმედება მსმენელს გაუზიარონ და მათი მოწონება და აღფრთოვანება დაიმსახურონ.

საქველმოქმედო კონცერტი

სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების ინიციატივით და ორგანიზებით არაერთი საქველმოქმედო ღონისძიება ჩატარებულა და მომავალშიც ბევრი ჩატარდება.

სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით მოწყობილი მსგავსი ღონისძიებების სიმრავლით იყო გამორჩეული 2012 წლის შემოდგომაც. 26 ოქტომბერს, III სასწავლო კორპუსის „წითელ დარბაზში“, გაიმართა აქცია-კონცერტი ეპილესიით დაავადებულ ბავშვთა დასახმარებლად. კონცერტში მონაწილეობდნენ ქორეოგრაფიული ანსამბლები და მუსიკოსები: **ნიკო ბერიძე, სალომე ბაკურაძე „ნიკოლშოუ“, ელენე ფოჩხუა, სოფო ბედია, ლევან კბილაშვილი, ნოდიკო ტატიშვილი, „ერისიონი“.** საქველმოქმედო კონცერტიდან შემოსული თანხა გადაეცა ეპილეფსიით დაავადებულ ბავშვთა ოჯახებს. ბავშვები და მშობლები კმაყოფილებას და მადლიერებას ვერ ფარავდნენ ამ ლამაზი საღამოს ჩატარების გამო.

20 ნოემბერს უნივერსიტეტის მესამე კორპუსის „წითელ დარბაზში“ პოეტ **გიორგი მოსიაშვილის** ინიციატივითა და სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით გაიმართა საქველმოქმედო კონცერტი – **„სამშობლო, როგორც უფალი“.** კონცერტში მონაწილეობდნენ ქართული ესტრადის ვარსკვლავები და პოეტები: **გია ნიკოლაძე, დათო არჩვაძე, მიშა ზაქარიაშვილი, დათო ლონდარიძე, თეატრალური კვარტეტი, ნოდიკო ტატიშვილი, მარიკო ებრალიძე, სალომე ბაკურაძე, გიორგი ძამუკაშვილი, ოთო ნემსაძე, ქეთი თურქაძე, თემურ ჩალაბაშვილი, გულიადა სანოძე, გიორგი მოსიაშვილი, ედუარდ უგულავა, სულხან წულუკიძე და ნიკო მორიელი.** ღონისძიებიდან შემოსული თანხა გადაეცა ხატისსოფლის წმიდა გიორგის სამონასტრო კომპლექსს რესტავრაციისთვის.

სტუდენტური თვითმმართველობა ყოველთვის მზადაა თუნდაც ერთი ადამიანის დასახმარებლად დიდი დრო და ენერგია დაუთმოს მსგავსი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას.

ივუბწ-მოსი-ი ოყბი-ორი

წლებმა გაირბინეს, მაგრამ...

წლებს ვერარა დაუკლია მისთვის... ისევ მხნედ, ენერგიულად, ფხიზელი გონითა და გულისყურით... გარეგნული იერით დაუჯერებელია, რომ მას 85 წელი შესრულებია... თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორატის სხდომათა დარბაზში სახელოვანი იუბილარის მეგობრები, კოლეგები, მოწაფეები, მოწაფეთა მოწაფეები, ოჯახის წევრები მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ **ზურაბ კაციტაძის** დაბადებიდან 85 წლისთავის აღსანიშნავად შეკრებილან...

საზეიმო განწყობას მოუცავს დარბაზი. იუბილარი მილოცვებს იღებს... ბედნიერებაა, როცა ამ ასაკშიც აქტიური ცხოვრებით ცხოვრობ... დიდი **სულხან-საბას** სიტყვები გვახსენდება ლუდოვიკო XIV-თვის ნათქვამი: **„თქვენს ასაკში ყველა ინატრებდა ყოფნას“, ბატონო ზურაბ!**

– „მადლობა ყველაფრისთვის, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს თქვენს ლამაზ ოჯახთან, სამედიცინო უნიერსიტეტთან და ქვეყანასთან ერთად, რომელთა მიმართ სიყვარული ძლიერადაა მოჭარბებული თქვენში: მიიღეთ მოლოცვა ამჟამად უცხოეთში მყოფი სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორისგან, ბატონი **ზურაბ ვადაჭკორიასგან,** რომელიც დიდი სიყვარულით და პატივისცემით გილოცავთ ამ სახელოვან იუბილეს!“ – ამ სიტყვებით გახსნა საიუბილეო საღამო თსსუ-ის კანცელერმა, ბატონმა **ზურაბ ორჯონიკიძემ,** რომელმაც იუბილარს უნივერსიტეტისგან საჩუქრად **„ვეფხისტყაოსანი“** გადასცა.

შემდეგ პროფესორ **ზურაბ კაციტაძის** ცხოვრების და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ დამსწრე საზოგადოებას მოუთხრო იუბილარის ღირსეულმა მოწაფემ, თსსუ-ის ადამიანის ნორმალური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **რამაზ ხეცურიანმა**: „მნიშვნელოვანი დღეა ჩვენი დეპარტამენტისთვის – ბატონი ზურაბი იუბილარია. ხუთმა წელმა გაიარა მისი 80 წლის საიუბილეო თარიღის აღნიშვნის შემდეგ: – „სამედიცინო გაზეთის“ გადათვალიერებისას, როდესაც ასევე ღირსეულად აღინიშნა ბატონი ზურაბის საიუბილეო თარიღი, ვხედავ, რომ წლებს თითქმის არაფერი შეუცვლია – ბატონი ზურაბი ისევ მხნედ გამოიყურება, ისევ ფუსფუსებს ჩვენთან, კვლავ აქტიურად ეწევა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას... ბატონი ზურაბი წლების მანძილზე გახლდათ სამედიცინო უნივერსიტეტის ადამიანის ნორმალური ანატომიის კათედრის გამგე, ამჟამად – პროფესორი. აქამდე იგი ასე მოვიდა: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დასრულების შემდეგ საექიმო მოღვაწეობა დაიწყო ქ. რუსთავში; პარალელურად დაამთავრა საკავშირო დაუსწრებელი უმაღლესი იურიდიული სკოლა და სწავლა განაგრძო ქალაქ მოსკოვის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომლის დამთავრების შემდეგ პიროგოვის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტში დაიცვა დისერტაცია. 1952-1956 წლებში მუშაობდა მოსკოვის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილების გამგედ, შემდეგ – თბილისის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიურის ხელმძღვანელად; პარალელურად აგრძელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას სასამართლო მედიცინის და ანატომიის მომიჯნავე საკითხებზე. საქმეს უჩუმრად აკეთებს, არ უყვარს რეკლამირება. ანატომიაში მის სახელმძღვანელოებზე აღიზარდა და იზრდება ექიმთა მრავალი თაობა.

ბატონი ზურაბის ასეთი მხნეობა ალბათ იმ სამყაროში მოღვაწეობის შედეგიცაა, რასაც ახალგაზრდობასთან ურთიერთობა ჰქვია. სტუდენტებთან კონტაქტს ისეთი ფსიქოლოგიური ზემოქმედება აქვს, რომ უნებურად მათი ტოლი ხდები და ახალი ენერგიით გავსებს. ბოლოდროინდელმა კვლევებმა დაამტკიცა, რომ გონებრივი შრომა სიცოცხლეს ახანგრძლივებს. ამიტომაც იგი კვლავ დიდხანს გვახარებს სტუდენტებს და ჩვენ, მის გვერდით მოღვაწე პროფესორ-მასწავლებლებს.

ბატონი ზურაბი დღესაც ჩვეულ ფორმაშია – თავის მეუღლესთან ერთად გამოსცა ორი მონოგრაფია; აქტიურად თანამშრომლობს და წარადგენს სამეცნიერო შრომებს სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმზე; არის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი.

გახლავთ რა თვალსაჩინო მეცნიერი, პედაგოგი, პიროვნება, ბატონი ზურაბი სასახელო ოჯახის პატრონიცაა – კარგი მეუღლე, მამა და ბაბუაა. მისი უფროსი შვილი შესანიშნავი პედიატრია და ამერიკაში მოღვაწეობს, მეორე – ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ დიდ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა მეუღლესთან ერთად;

ბატონი ზურაბის რჩევა დიდად გვეხმარება ჩვენს პროფესიულ საქმიანობაში. იგი ჯერ კიდევ 1973 წელს ამბობდა: ჩვენ უნდა ვიყოთ სტუდენტებზე ორიენტირებულნი, რაც ნიშნავს იმას, რომ სტუდენტებთან ერთად უნდა გაიარო ის გზა, რასაც სასწავლო პროცესი ჰქვია“, – ასე დაასრულა გამოსვლა მისმა მოწაფემ, ადამიანის ნორმალური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **რამაზ ხეცურიანმა** და ღვაწლმოსილ მასწავლებელს სიყვარულითა და სითბოთი უსურვა ჯანმრთელობა, დიდხანს სიცოცხლე, წარმატება და კიდევ არაერთი საიუბილეო თარიღი...

პროფესორმა **ბესიკ კილასონიამ,** თსსუ-ის სასამართლო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, სიამაყით აღნიშნა, რომ ბატონი ზურაბი ჯერ სასამართლო ექიმი, შემდეგ კი – ანატომია. ბატონმა ბესიკმა ისურვა, რომ სამომავლოდ საიუბილეო საღამოებზე იგი კვლავ ისეთივე მხნე და შემართული იხილოს, როგორიც ახლაა... ამასთან ერთად, გამომსვლელმა თსსუ-ის სასამართლო მედიცინის დეპარტამენტის, ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ცენტრის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის სამსახურის და საქართველოს სასამართლო ექიმთა ასოციაციის სახელით იუბილარს მიულოცა ღირსშესანიშნავი თარიღი და ჯანმრთელობა, ხანგრძლივი სიცოცხლე და შემდგომი წარმატებები უსურვა.

მორფოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა **დიმიტრი კორძაიამ,** აღნიშნა, რომ საქართველოს ანატომთა საზოგადოებამ მიიღო გადაწყვეტილება მორფოლოგიურ მეცნიერებაში შეტანილი წვლილისთვის სპეციალური მედლით დააჯილდოოს ღირსეული მეცნიერები, მათ შორის, პროფესორი **ზურაბ კაციტაძე;** იუბილარს ღირსშესანიშნავი თარიღი მიულოცეს თსსუ-ის რექტორის მოადგილემ **გიორგი აბესაძემ,** იუბილარის კოლეგამ, ბატონმა **იუსტინე არველაძემ**, თსსუ-ის ფუნქციური მორფოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **ალექსანდრე ციბაძემ,** ტოპოგრაფიული ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **ლია კიკალიშვილმა,** პროფესორმა **ბიძინა ჭუმბურიძემ.**

ბოლოს იუბილარმა დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა დაფასებისა და სიყვარულისთვის.

დალი გაგეშია,
დარეჯან კომლაძე

სოყბილეოდ

გაზეთის დიდი მოამაგე

...ის თვალციმციმა, ლაღი, ხალისიანი, ამასთან, კდემამოსილი გოგონა ალბათ ისევ ახსოვს უნივერსიტეტის ბაღსა და ეზოს, აუდიტორიებსა და ცხოვრების გზა-შარაზე მიმოფანტულ თანაკურსელებსა და მეგობრებს ...

...მერე კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების კურსდამთავრებულმა – **ნუნუ კაკუშაძემ** – ფრთხილად შეაღო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რედაქციის კარი ვერაზე, მელიქიშვილზე...

...და დაიწყო ჭიდილი სიტყვასთან, ასევე, ურთიერთობა თითქმის თანატოლებთან – მომავალ ექიმებთან და ინსტიტუტის მრავალრიცხოვან კოლექტივთან, სამედიცინო საზოგადოების ელიტარულ ნაწილთან...

...თვალის დახამხამებაში გაირბინეს წლებმა... მოიხედავ და უკან ჟურნალისტის მრავალფეროვანი, ლამაზი, თუმც, არცთუ იოლი ცხოვრება დგას...

ქალბატონი ნუნუ წლების მანძილზე „**მედიცინის მუშაკის“** სახელწოდებით გამომავალი გაზეთის დღევანდელი **„სამედიცინო გაზეთის“** წინამორბედის, ლიტერატურული მუშაკი გახლდათ და არაერთხელ გაუხარებია მკითხველი საკუთარი წერილებით თუ რეპორტაჟებით, ინტერვიუებით და კორესპონდენციებით, რომლებშიც ნათლად იგრძნობა სამედიცინო ინსტიტუტის 30-წლიანი ისტორიის მაჯისცემა. გარკვეულ პერიოდში ქ-ნი ნუნუ „მედიცინის მუშაკის“ რედაქტორის მოადგილეც გახლდათ და ღირსეულად იტვირთა სარედაქციო საქმიანობის მძიმე უღელი...

– სტამბაში გაზეთის საღებავის ნაცნობ სუნს რომ შეისუნთქავ, ლინოტიპზე ჩამოსხმული ცხელი სტრიქონი რომ დაგწვავს ხელისგულს, ვგრძნობ, როგორ სუნთქავს გაზეთი, – ხშირად უთქამს მას ჩვენთან საუბრისას...

„მედიცინის მუშაკის“ ფერშეცვლილი ფურცლებიდან კარგად ჩანს, რომ ქ-ნი ნუნუ ჩვენი გაზეთის ნამდვილი მემატიანეა, რომ დიდია მისი წვლილი გაზეთის არსებობის 55-წლიან და, პარალელურად, სამედიცინო უნივერსიტეტის სახელოვან ისტორიაში...

დიდია ქ-ნ ნუნუს წვლილი, ასევე, ჩვენი, ჯერ კიდევ ახლადფეხადგმული ჟურნალისტების, დაფრთიანების საქმეში. იგი იყო პირველი, ვინც კეთილ რჩევა-დარიგებას არ იშურებდა ჩვენთვის და ყველანაირად ცდილობდა თანადგომა და სიყვარული არ მოეკლო...

...ქალბატონი ნუნუ ბრწყინვალე ოჯახითაც ამაყობს – მას მხარს უმშვენებს შესანიშნავი მეუღლე **იური მესხი**, ჰყავს ორი საამაყო შვილი – **ნატო და მიშიკო** და ხუთი უმშვენიერესი შვილიშვილი, რომლებიც ავსებენ და ახალისებენ ბებოს ყოველდღიურობას... ნუნუს სიხარულს იზიარებს მისი ძვირფასი დედაც – დახვეწილი და მშვენიერი მანდილოსანი, ქალბატონი **მარგალიტა...**

„სამედიცინო გაზეთი“, დაარსებიდან – 55 წლის გადმოსახედიდან სითბოთი და სიყვარულით ულოცავს ამაგდარ კოლეგას საიუბილეო თარიღს, ამასთანავე, დამდეგ 2013 წლის შემობრძანებას და ხანგრძლივ და ბედნიერ სიცოცხლეს უსურვებს; კიდევ ერთხელ უხდის მადლობას სამედიცინო უნივერსიტეტის ჟამთაღწერის ისტორიაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის!

„სამედიცინო გაზეთის“
რედაქცია

ზურაბ კაციტაძე 85 წლისაა?!

ახლახან ბატონ **ზურაბ კაციტაძეს** დაბადებიდან **85** წელი შეუსრულდა, აქედან მან 60 წელზე მეტი მედიცინის დარგში უაღრესად შრომატევად და ნაყოფიერ საქმიანობას მიუძღვნა. პროფესორი ზურაბ კაციტაძე საქართველოში ერთ-ერთი თვალსაჩინო, მეცნიერი და დამსახურებული პედაგოგია. მიუხედავად ასაკისა, ბატონი ზურაბი კვლავაც აქტიურად მონაწილეობს და უაღრესად დიდი წვლილი შეაქვს მშობლიური უმაღლესი სასწავლებლის ადამიანის ნორმალური ანატომიის დეპარტამენტის სასწავლო, სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, დღიდან რექტორის მრჩეველთა საბჭოს შექმნისა, პროფესორი ზურაბ კაციტაძე, როგორც საბჭოს თავმჯდომარე, წარმატებით ხელმძღვანელობს მის მუშაობას. სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული საბჭო ჭეშმარიტად ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა, სადაც, სასწავლო და სამეცნიერო მუშაობიდან გამომდინარე, სისტემატურად ხდება აქტუალური საკითხების განხილვა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის წინაშე რჩევის სახით საბჭოს გადაწყვეტილებათა წარდგენა.

ბატონი ზურაბი ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში, დაკავებული იყო სასწავლო-სამეცნიერო ხასიათის მუშაობით. როგორც საზოგადოებრივი „ცოდნას“ აქტიური ლექტორი, იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა სამედიცინო უნივერსიტეტის მეთოდურ საბჭოს; ყველასთვის ცნობილია, რომ მისი ავტორობით გამოცემული ორტომეული – **„ადამიანის ანატომია“** – მიჩნეულია ეტალონად უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის სასწავლო სახელმძღვანელოთა შორის.

მედიცინის საკითხების ღრმა ცოდნამ და განსწავლულობამ ბატონი ზურაბის ლექციები აქცია უაღრესად საინტერესოდ, სტუდენტებს უკვე დაწყებით კურსებზე ნათელი წარმოდგენა ექმნებათ კლინიკურ მედიცინაზე, ამიტომაც მისი ლექციები ყოველთვის დიდი ინტერესით ისმინება.

პროფესორი ზურაბ კაციტაძე უაღრესად კეთილი, მეგობრული თვისებების მქონე, ღვთისგან დაჯილდოებული პიროვნებაა; გულდასმით და პასუხისმგებლობლობით ეკიდება ყველა საქმეს და ცდილობს, რომ სწორად გააანალიზოს და, რაც მთავარია, მიიღოს ჭეშმარიტი გადაწყვეტილება.

ჩვენ, სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრები, გულითადად ვულოცავთ პროფესორ **ზურაბ კაციტაძეს** დაბადებიდან 85 წლის შესრულებას! მას და მისი ოჯახის წევრებს, ხანგრძლივ და ჯანმრთელ სიცოცხლესთან ერთად, ვუსურვებთ შემდგომ ბედნიერებას!

პროფესორები
ბიძინა ჭუმბურიძე,
რომანოზ სვანიშვილი

ავაწყვეთ ისტორია

თავისი საქმის რეკორდსმენი და ჩემპიონი

გამოჩენილ ქართველ მედიკოსს, სამედიცინო რეაბილიტაციის (კინეზოთერაპიის) და სპორტული მედიცინის თვალსაჩინო სპეციალისტს, პროფესორ **რომანოზ სვანიშვილს,** დაბადებიდან **85 წელი** შეუსრულდა.

ბატონი რომანოზი ჩვენი უნივერსიტეტის საამაყო და დამსახურებული პროფესორი, პედაგოგთა პლეადის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია. მან ცხოვრების მეტად რთული, საპატიო და საინტერესო გზა წარმატებით გაიარა. ბატონმა რომანოზმა მედიცინის ერთ-ერთი სერიოზული მიმართულება – ფიზიკური რეაბილიტაცია (კინეზოთერაპია) და სპორტული მედიცინა მაღალ დონეზე აიყვანა, როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ.

ბატონი რომანოზ სვსანიშვილი დაიბადა 1928 წელს მოსკოვში. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს ასპირანტურაში, პროფესორ გ.მღებრიშვილის კათედრაზე (საექიმო კონტროლის კათედრა), რომელიც 1955 წელს დაამთავრა და საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე – **„სპორტი და გარეგანი სუნთქვა“.**

ბატონი რომანოზი, დისერტაციის დაცვის შემდეგ აგრძელებს სამეცნიერო-კვლევით მუშაობას და ერთ-ერთ წარმატებულ და განსწავლულ მედიკოსად ყალიბდება სპორტული მედიცინის და სამკურნალო ფიზკულტურის დარგში. როდესაც კათედრას 35 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობს ერთი და იგივე პიროვნება, ეს, უდავოდ, მისი დიდი ინტელექტის დამსახურებაა.

1984 წელს რომანოზ სვანიშვილს მიენიჭა პროფესორის წოდება. მან თავიდანვე აირჩია მედიცინის ორი ძალიან მნიშვნელოვანი დარგი – სამკურნალო ფიზკულტურა (კინეზოთერაპია) და სპორტული მედიცინა და ეს დარგები მან უმაღლეს დონეზე აიყვანა, რასაც ხელი შეუწყო მისმა კალათბურთელობამ. იგი ხომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონია კალათბურთში სამედიცინო ინსტიტუტებს შორის (1951 წელი, მოსკოვის საკავშირო სპარტაკიადა).

მან, ერთ-ერთმა პირველმა საბჭოთა კავშირში, შეისწავლა სპორტსმენების ორგანიზმში გარეგანი სუნთქვის პარამეტრები და სხვა ფუნქციური მაჩვენებლები და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე მრავალი ორიგინალური დასკვნაც გამოაქვეყნა, ასევე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ მან დიდი როლი ითამაშა სპორტსმენის განვრთნილობის დადგენის კომპლექსური მეთოდის დამუშავების საქმეში. მის მიერ გამოქვეყნებულ შრომებში, განსაკუთრებით კი მონოგრაფიებში, ყველა ზემოთ აღნიშნული საკითხი დეტალურად არის შესწავლილი და გაშუქებული.

ბატონმა რომანოზმა 1984 წელს გამოაქვეყნა მონოგრაფია რუსულ ენაზე – **„სპორტსმენთა ფუნქციური გამოკვლევის ზოგიერთი მეთოდი“,** რომელმაც საბჭოთა კავშირის სპორტული მედიცინის სპეციალისტებს შორის დიდი აღიარება მოუტანა.

ბატონი რომანოზის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, ასევე, წარმატებულია სამკურნალო ფიზკულტურის დარგში (კინეზოთერაპია), რაზეც მეტყველებს მის მიერ გამოქვეყნებული შრომები, განსაკუთრებით კი მონოგრაფიები.

მან მეცნიერული კვლევების საფუძველზე ბრწყინვალედ გააანალიზა და დაადგინა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს აღდგენითი თერაპიის მნიშვნელობა, განსაკუთრებით, მათი მოძრაობის რეჟიმის და ადრეული ფიზიკური რეაბილიტაციის ვადების დადგენის საქმეში.

ბატონმა რომანოზმა, პროფესორ **ს. კახაბრიშვილთან** ერთად (2011 წ.), გამოსცა სახელმძღვანელო – **„სპორტული მედიცინა და კინეზოთერაპია“**, უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის სტუდენტებისთვის, ექიმებისთვის და სპორტის სპეციალისტებისთვის, რითაც ხელი შეეწყო ამ დისციპლინის ღრმად შესწავლის საქმეს.

ბატონი რომანოზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეცნიერულ გამოკვლევად უნდა ჩაითვალოს, ერთი მხრივ, სპორტსმენთა გულ-სისხლძარღვთა სისტემის ერთმომენტიანი, კომბინირებული ფუნქციური სინჯის შემუშავება, ხოლო, მეორე მხრივ, ფიზიკური უნარის განმსაზღვრელი ტესტის დადგენა, მიოკარდიუმის ინფარქტის, ცერებრული სისხლის მიმოქცევის მოშლის და სხვა დაავადების დროს. აღნიშნული საკითხების გაშუქებას მან მიუძღვნა 900-ზე მეტი პუბლიკაცია, მათ შორის – 227 სასწავლო და სამეცნიერო ნაშრომი (8 სახელმძღვანელო, 4 დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელო, 7 მონოგრაფია და მრავალი მეთოდური წერილი თუ ბროშურა).

ბატონ რომანოზზე კოლეგები ხუმრობით ამბობენ, რომ იგი, პუბლიკაციის რაოდენობის თვალსაზრისით, რეკორდსმენია, რაც, მართლაც, სინამდვილეს შეესაბამება, მე კი დავუმატებდი, რომ იგი არა მარტო რეკორდსმენია პუბლიკაციის რაოდენობის მიხედვით, არამედ თავისი საქმის ჩემპიონიცაა. მან, ასევე, საფუძველი ჩაუყარა აღდგენით-ფიზიკურ თერაპიას (კინეზოთერაპიას) კარდიოლოგიის, პედიატრიის, ფსიქიატრიის, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, რასაც დიდი აღიარება მოჰყვა.

ბატონო რომანოზი გულისხმიერი, მაღალი დონის, ენაწყლიანი პედაგოგია. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა სტუდენტთა სწავლა-განათლების საქმეს.

ბატონმა რომანოზმა პედაგოგიურ მოღვაწეობას, სამეცნიერო-კვლევით და საექიმო მუშაობას არაჩვეულებრივად შეუთავსა საორგანიზაციო საქმიანობა. იგი იყო საბჭოთა კავშირის სამკურნალო ფიზკულტურის და სპორტული მედიცინის სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი (ერთი პერიოდი – ვიცე-პრეზიდენტი), საბჭოთა კავშირის სამკურნალო ფიზკულტურის და სპორტული მედიცინის სამედიცინო საზოგადოების მეთოდკომისიის წევრი, საქართველოს სამკურნალო ფიზკულტურის და სპორტული მედიცინის სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდენტი (ორი ათეული წელი), საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს მთავარი სპეციალისტი, დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის სამკურნალო ფიზკულტურის და სპორტული რედაქციის ერთ-ერთი რედაქტორი, ევროპის კარდიოლოგთა ასოციაციის წევრი, მე-4 მთავარი სამმართველოს კონსულტანტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სპორტკლუბის თავმჯდომარე.

ბატონი რომანოზი აქტიურად მონაწილეობდა მსოფლიოს სხვადასხვა დონის ყრილობებში, სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში.

შესანიშნავი ოჯახი: მეუღლე – ექიმი პედიატრი, ქალბატონი **დოდო მაღრაძე**; სამი შესანიშნავი შვილი, მათ შორის, ქალბატონი **თამარი** – მედიცინის აკადემიური დოქტორი, მამის კოლეგა და მისი სახელოვანი გზის გამგრძელებელი.

ბატონო რომანოზი – იშვიათი ბუნების ადამიანი, კაცთმოყვარე, კომუნიკაბელური, თავდადებული, სამართლიანი, საქმიანი, სპეტაკი და მეგობრობის დიდი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება, უდიდესი ავტორიტეტის მქონე ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტ-ახალგაზრდობას შორის, ჩემი უფროსი მეგობარი და კეთილი მრჩეველია.

დღეს იგი აგრძელებს აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას, არის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული სასკოლო სპორტის კომისიის წევრი.

ბატონ რომანოზს, საქართველოს ფიზიკური რეაბილიტაციის (კინეზოთერაპიის) და სპორტული მედიცინის მამამთავარს და ამ დარგის ხელმძღვანელს, ვულოცავ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და ვუსურვებ ჯანმრთელობას.

ბატონო რომანოზ, დიდი მადლობა მომავალი ექიმების აღზრდის საქმეში გაწეული აქტიური მუშაობისთვის, ჩვენი უნივერსიტეტის ავტორიტეტის ამაღლებისა და მეგობრობისთვის!

ვაჟა გვანცელაძე,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ჰუმანიტარული და სახელოვნებო აკადემიის აკადემიკოსი

***P.S.** სულ ახლახან, ბატონ რომანოზ სვანიშვილს სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა. აღსანიშნავია, რომ იგი პირველი ექიმია ამ საპატიო წოდებით. ვულოცავთ მას ამ მნიშვნელოვან აღიარებას და ვუსურვებთ კვლავაც დიდხანს ეღვაწოს ჩვენი უნივერსიტეტის და ქვეყნის სასახელოდ!*

ახალი წიგნები

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭომ განიხილა მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების პრობლემის საკითხები, შედეგად, უნივერსიტეტის **სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დეპარტამენტმა (ხელმძღვანელი, პროფესორი ნაირა ჭაბაშვილი)** აიღო ინიციატივა და მოამზადა მეტად საჭირო ლიტერატურა – **„ფიზიკური დატვირთვა“,** რომელიც გამოსცა გამომცემლობა „გეორგიკამ“ თსსუ-ის სპეციალისტთა ჯგუფის: **ნ. ჭაბაშვილის, რ. სვანიშვილის, ზ. სოფრომაძის, ზ. კახაბრიშვილის, თ. სვანიშვილის, ლ. თათარაძის, ზ. ფხალაძის ავტორობით...**

მოძრაობის, ფიზიკური დატვირთვის, ფიზიკური ვარჯიშის რაციონალურად გამოყენება თითოეული ადამიანის ცხოვრების აუცილებელი და განუყოფელი ნაწილია, – ხაზგასმითაა აღნიშნული ამ წიგნში, ამასთან, განხილულია ფიზიკური დატვირთვის – კუნთური მუშაობის სახეები, მისი გავლენა ადამიანის ორგანიზმზე, სამკურნალო (სარეაბილიტაციო) და პრევენციული მნიშვნელობა, დიაგნოსტიკური და პროგნოსტიკური როლი თანამედროვე კლინიკურ და სპორტულ მედიცინაში და სხვა.

ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული წიგნი ნათელ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს ფიზიკური დატვირთვის მნიშვნელობის შესახებ ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ელზა თათარაძე,
თსსუ-ის სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დეპარტამენტის ასისტენტი

სოფლიოს ყველა ცხოვრობს ფოტოზე

შემოქმედებითი საღამო

ნანა ცინცაძე: „ჩემი ცხოვრება სცენაა...“

ერთი ამოსუნთქვით წაკითხული ლექსები

არაერთი კულტურული ღონისძიება გამართულა უნივერსიტეტის „წითელ დარბაზში“: კონცერტები, ფესტივალები, „სტუდენტური დღეები“, პოეზიის საღამოები... თუმცა შემოქმედებითი საღამო, რომელიც სწორედ ამ დარბაზში 15 ნოემბერს შედგა, შეიძლება ითქვას, სრულიად გამორჩეული და განსაკუთრებული გახლდათ არა მხოლოდ იმიტომ, რომ მასში ქართული ესტრადის ცნობილი შემსრულებლები მონაწილეობდნენ, უფრო იმიტომაც, რომ იგი საოცრად ნიჭიერ და ორიგინალურ შემოქმედს, პოეტ **ნანა ცინცაძეს** მასპინძლობდა. როგორც უნივერსიტეტის რექტორმა, ბ-ნმა **ზურაბ ვადაჭკორიამ** მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა, ნანა ცინცაძე ერთი იმ ნიჭიერ ექიმ შემოქმედთაგანია, რომლებიც მედიცინის საფუძვლებს სწორედ ჩვენს ალმა მატერში ეზიარნენ და შემდეგ წარმატებით იღვაწეს პოეზიასა თუ მუსიკაში, ფერწერაში თუ სცენაზე...

შემოქმედებითი საღამო თავად ქ-ნ ნანას მიჰყავდა, რომელმაც შესაშური არტისტიზმით გვამოგზაურა საკუთარ პოეტურ სამყაროში, ამ ისედაც ლამაზ და ზღაპრულ სამყაროს კი გზადაგზა მისსავე ლექსებზე შექმნილი პოპულარული და უკვე ჰიტად ქცეული მელოდიები ალამაზებდა ანსამბლების **„ალილოს“, „თეატრალური კვარტეტის“; ლაშა ღლონტის, დათო არჩვაძის, გია დავითიანის, სოფო ბედიას, აჩიკო ნიჟარაძის** შესრულებით.

ქ-ნი ნანას მიერ წაკითხული ლექსები მოიცავდა პატრიოტულ თუ სატრფიალო ლირიკას და, მიუხედავად თითქმის სამსაათიანი საღამოსი, ეს ის შემთხვევა იყო, როცა პუბლიკას არ ეთმობოდა შემოქმედი. **„ერთი ამოსუნთქვით წაკითხული ლექსები“,** – ასეთი სახელწოდებაც შეიძლება მივუსადაგოთ ამ მშვენიერ ღონისძიებას, რომლის მთავარმა გმირმა მსმენელს დაუტოვა განცდა, რომ ასევე ერთი ამოსუნთქვით იქმნება ეს არაჩვეულებრივი ლექსები – ავტორისეული ნიჭიერებით, ზეემოციურობით, გნებავთ „სიშლეგით“ (როგორც თავად იტყოდა), იშვიათი პოეტური მიგნებებით სავსე და დატვირთული...

„ჩემი ცხოვრება სცენაა,
ნიღბებს ვერ ვტოვებ ვერსად,
მეფის კარზე რომ მეცხოვრა,
გავაკვირვებდი ვერსალს“, –

ამბობს ერთგან პოეტი, რომელმაც ამ არტისტული შარმით და პათოსითაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელზე და არათუ უბრალოდ კარგი, არამედ ძალიან, ძალიან, ძალიან ლამაზი საღამო აჩუქა პოეზიის და მუსიკის თაყვანისმცემლებს.

ნატო ბოლქვაძე

პრეზენტაცია

„მინიმა“ – პოეტური გზავნილები ორიგინალური ხელწერით



პოეზიის მოყვარულ სამედიცინო საზოგადოებას ახსოვს ა. წ. მაისში ჩვენს უნივერსიტეტში პოეტი ექიმების თავყრილობა, რასაც მაშინ „სამედიცინო გაზეთიც“ გამოეხმაურა. ამ საინტერესო შეხვედრაზე, სხვა პოეტურ სტრიქონებთან ერთად, მოკლე და საოცრად დახვეწილმა პოეტურმა „გზავნილებმა“ (ასეც ჰქვია ამ მიმდინარეობას: „მინიმა“ ბერძნულიდან გზავნილს, მესიჯს ნიშნავს) მიიქცია ყურადღება, რომელსაც საზოგადოებას ასევე დახვეწილი და მოკრძალებული ქალბატონი, ექიმი-პოეტი, **ნინო ქოქოსაძე** აცნობდა. ახლახან სამედიცინო უნივერსიტეტში, სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, სწორედ მისი წიგნის **(„მინიმა“)** პრეზენტაცია გაიმართა – ქალბატონი ნინო სტუდენტებს საკუთარ შემოქმედებაზე ესაუბრა და ამ კრებულში თავმოყრილი არაჩვეულებრივი ლექსებიც წაიკითხა.

შეხვედრას უძღვებოდა ღონისძიების ინიციატორი, პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი **თეიმურაზ პეტრიაშვილი,** რომელმაც გარდა ქ-ნი ნინოს პოეზიისა, მის პიროვნულ ღირსებებზეც გაამახვილა ყურადღება; ისაუბრა ახალგაზრდების დიდ ინტერესსა და აქტიურობაზე მსგავსი ღონიძიებების ორგანიზების თვალსაზრისით და სტუდენტი პოეტები: **გიორგი გოდერძიშვილი, გიორგი დათიაშვილი, თამთა ლაშხი და ვიქტორ გაბრიჭიძე** წარუდგინა საზოგადებას, რომლებმაც საკუთარი შემოქმედებიდან რამდენიმე ლექსი წაიკითხეს.

შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი იყო სტუმრების: თსუ-ის ალ. ნათიშვილის სახელობის მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, ასევე არაჩვეულებრივი ლექსების ავტორის, პროფესორ **დიმიტრი კორძაიას** და წიგნის რედაქტორის, პოეტ **მარიამ წიკლაურის** მიერ ნინო ქოქოსაძის პოეტური შემოქმედების შეფასება.

ამ პატარა საგაზეთო წერილს არა აქვს პრეტენზია და ვერც დაიტევს კრებულში წარმოდგენილი ცალკეული ლექსის ანალიზს, მიუხედავად იმისა, რომ დიდია ცდუნება ამ მშვენიერ პოეზიაზე უფრო ვრცლად საუბრისა; თუმცა ვიტყვით, რომ მასში ჩაღრმავებას მიგნების სიხარული ახლავს თან – პოეტურ სტრიქონებში ჩვენეული სათქმელის ამოკითხვით და ხატოვნად გადმოცემის ხელოვნებით აღფრთოვანებას რომ გულისხმობს. პოეტურ კრებულ „მინიმას“ გაცნობით მკითხველს უთუოდ ნიჭიერ და ორიგინალურ პოეტთან შეხვედრის სიამოვნება ელის.

ნატო ბოლქვაძე

საინფორმაციო სეზონი

...და იყვნენ თბილისში ასეთი ადამიანები...

ცნობილი თერაპევტი ბრძანდებოდა ბატონი **გრიგოლ დიდებულიძე,** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი, თითქმის 30 წელი ხელმძღვანელობდა თბილისის სხვადასხვა ინსტიტუტის თერაპიის კათედრებსა თუ განყოფილებებს, მათ შორის, - სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის თერაპიის კათედრებს. დიდი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა მოპოვებული ავადმყოფებს, სტუდენტებსა თუ კოლეგებს შორის. მოფერებით, როგორც გიგუცას, ისე იცნობდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ **გრიგოლ დიდებულიძის** და, ასევე, ცნობილი თერაპევტის, პროფესორ **შალვა მიქელაძის** სახელმძღვანელო **„შინაგან სნეულებათა პროპედევტიკის კურსი“,** რომელიც საოცრად კარგად იკითხება და ახლა ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა, საფუძვლიანად რომ შეგესწავლათ, ავადმყოფის გასასინჯად და დიაგნოზის დასასმელად, შესაძლოა, არავითარი, თუნდაც, თანამედროვე კვლევის მეთოდი არ დაგჭირვებოდათ და ისე დაგესვათ დიაგნოზი.

ასეთივე თბილი, კეთილშობილი ბუნების და სათნო ქალბატონი იყო მისი მეუღლე, ქალბატონი ელენე. ვაჟი, **თეიმურაზ (ფუსა) დიდებულიძეც** ცნობილი თერაპევტი, კათედრის გამგე და სამკურნალო ფაკულტეტის დეკანი გახლდათ. ქალიშვილი კი, პედიატრი, ქალბატონი **ჯანიკო,** ბავშვების და მათი მშობლების დიდი იმედი, თბილისში საოცარი პოპულარობით გამოირჩეოდა როგორც პატარების მკურნალი.

ბატონმა გიგუცამ, ქალბატონმა ელენემ და მათმა შვილებმა, რძალმა, კეთილი ბუნების ქალბატონმა, კარდიოლოგმა **გულიკო ბრეგვაძემ,** შვილიშვილებიც საუკეთესონი აღზარდეს.

ერთხელ ქალბატონი ელენე ავად გახდა, მძიმე მდგომარეობა იყო. ბატონი გრიგოლი ცოცხალი აღარ ბრძანდებოდა. საავადმყოფოში გახდა საჭირო ქალბატონი ელენეს გადაყვანა. ქალაქის პირველ საავადმყოფოში მოათავსეს. მკურნალი ექიმების ვარაუდით, მხოლოდ ერთ-ერთი, უცხოეთში ახლად შექმნილი პრეპარატი თუ გამოასწორებდა ხანშიშესული ქალბატონის ჯანმრთელობის მდგომარეობას და გადაარჩენდა საკმაოდ მძიმე, სიცოცხლისთვის საშიში ქირურგიული ოპერაციისგან. პრეპარატი, თბილისში ძნელი საშოვნი იყო და საკმაოდ ძვირიც ღირდა. ეს პრობლემა იმ დროს არ იყო უცხო ხილი.

დატრიალდნენ შვილები და შვილიშვილები, დიდი გაჭირვებით იშოვეს წამალი და მეორე დღეს მოუტანეს მათთვის ძვირფას ადამიანს.

გვერდით განთავსებულ პალატაში, დიდებულიძეების ოჯახისთვის უცნობი, ახალგაზრდა ვაჟი იწვა იგივე დიაგნოზით. რაიონიდან ჩამოსული ოჯახი ამაოდ ცდილობდა მათთვისაც საჭირო, იმავე პრეპარატის შეძენას. ეს ქალბატომა ელენემ იცოდა და როდესაც ოჯახის წევრებმა წამალი მოუტანეს, სასტიკი უარი განაცხადა მის მიღებაზე. „აქვე ახალგაზრდა კაცია, რომელსაც წინ აქვს ცხოვრების წლები, მე კი საკმაოდ დიდი ხანი გავატარე ამქვეყნად, აი, თუ მოუტანთ იგივე წამალს, რომელიც მას ჩემსავით ესაჭიროება, მხოლოდ მაშინ დავლევ მეც, მანამ კი, არასგზით“, - განაცხადა ქალბატონმა ელენემ.

მეორე დღეს, ქალბატონი ელენეს ოჯახის წევრებმა, ასეთივე პრეპარატი მიართვეს გვერდით პალატაში მწოლიარე ახალგაზრდა ავადმყოფს. მაშინ კი, ქალბატონმა ელენემაც, მშვიდად დაიწყო სიცოცხლის შენარჩუნებისთვის აუცილებელი პრეპარატის მიღება.

ცოტა ხანში, ახალგაზრდა ვაჟიცა და ქალბატონი ელენეც გამოჯანმრთელებულნი გაეწერნენ საავადმყოფოდან.

თეიმურაზ პეტრიაშვილი,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტის
ასოცირებული პროფესორი

გაბმულიდან

ავთანდილ საყვარელიძე



ქართულმა სამედიცინო საზოგადოებამ დიდი და მტკივნეული დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა **ავთანდილ საყვარელიძე,** პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ორთოპედიული სტომატოლოგიის კათედრის ყოფილი გამგე, სტომატოლოგიის ფაკულტეტის ყოფილი დეკანი.

ბატონი ავთანდილ საყვარელიძე სამედიცინო უნივერსიტეტის იმ ღვაწლმოსილ მოღვაწეთა წარმომადგენელია, რომელთა თანამდებობრივ თუ სხვა ფორმალურ სტატუსთა ჩამონათვალი უკიდურესად ფერმკრთალდება იმ რეალურ დამსახურებასთან და კვალთან, რაც მათ დატოვეს მედიკოსთა არაერთი თაობის წარმომადგენელთა ცხოვრებაში.

ბატონმა ავთანდილმა ხანგრძლივი ცხოვრების გზა განვლო – 85 წელი დარბაისელი და ღირსეული ასაკია; მათგან თითქმის 65 წელი იგი სრულად, ბოლო დღემდე ემსახურა სტომატოლოგთა მრავალი თაობის აღზრდას, ორთოპედიულ სტომატოლოგიას. ადამიანური და პროფესიული თვისებებით მან მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ორთოპედიული სტომატოლოგიის განვითარების ტენდენციები საქართველოში მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში.

ბატონი ავთანდილ საყვარელიძის პროფესიული ბიოგრაფია 1948 წელს სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად – სამედიცინო უნივერსიტეტის) ორთოპედიული სტომატოლოგიის კათედრაზე დაიწყო და აქ მან აკადემიური კარიერის ყველა ეტაპი განვლო. იგი მუდამ სამედიცინო უნივერსიტეტის წევრი იყო, თუმცა, ამავე დროს, გახლდათ ყველგან და ყოველთვის, სადაც მისი აზრი, გამოცდილება და ავტორიტეტი ორთოპედიული სტომატოლოგიისთვის (და არა მარტო!) იყო საჭირო. ბატონი ავთანდილი აქტიურად იყო ჩართული სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო და აკადემიური კადრის აღზრდისა თუ ატესტაციის პროცესში. მისი სიტყვა იყო ყოველთვის საქმიანი და მტკიცე. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თითოეული წევრი – დიდი თუ პატარა – ყოველთვის გრძნობდა მის სითბოს და მხარდაჭერას.

ბატონი ავთანდილი ორი სახელმძღვანელოს, 70-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიის, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ავტორია; უდავოა, მისი ნაშრომები ქართული სამედიცინო და სტომატოლოგიური აზრის განვითარების ისტორიის ნაწილია, მაგრამ ყველასთვის, ვინც ბატონ ავთანდილს იცნობდა, ადამიანური თუ საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა მასთან, სრულიად ფასდაუდებელი იყო და დარჩება მისი სითბო, ვაჟკაცობა, მხარში დგომის უნარი, ავკარგიანობა, მოლხენის სულისჩამდგმელობა და გაზიარება, სიცოცხლის სიყვარული, რასაც იგი თავად გულუხვად გასცემდა.

დიახ, ბატონი ავთანდილ საყვარელიძე იყო და დარჩება მკაცრ, მაგრამ მოყვარულ და სამართლიან მასწავლებლად და სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანად მრავალი ქართველი სტომატოლოგის მეხსიერებაში.

ბატონო ავთანდილის მრავალრიცხოვანი შთამომავლობა, მის მიერ აღზრდილი მოსწავლეები დღეს ღირსეულად აგრძელებენ და ავითარებენ მის საქმეს; დარწმუნებულნი ვართ, ასე იქნება მომავალშიც.

ბატონმა ავთანდილ საყვარელიძემ ღირსეულად იცხოვრა და, შემოქმედებითი გეგმებით აღსავსე, წავიდა ისე, რომ გაოგნებული და უკიდურესად გულნატკენი დატოვა მეუღლე, შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, მოსწავლეები, უამრავი მეგობარი, ახლობელი და კოლეგა. ადამიანის წასვლა ყოველთვის მწარეა, და ეს ცხოვრების მკაცრი რეალობაა; ბატონი ავთანდილ საყვარელიძის წასვლა მიწიერი ცხოვრებიდან მუდმივ, გაუნელებელ, გამორჩეულ ტკივილად დარჩება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორიაში.

მშვიდობით, ბატონო ავთანდილ!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ხსოვნა

ივანე ლაზარიშვილი



საქართველოს სამედიცინო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ექიმი, მეცნიერი და პედაგოგი – ივანე ლაზარიშვილი.

იგი დაიბადა 1926 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში საბჭოთა არმიის რიგებში მსახურობდა ავსტრიაში. 1957 წელს დაინიშნა რესპუბლიკურ ონკოლოგიურ დისპანსერში ექიმ-ანესთეზიოლოგად, 1959 წელს აირჩიეს ონკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად. 1971 წლიდან მუშაობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის საფაკულტეტო ქირურგიის კათედრასთან არსებული რეანიმატოლოგიის პრობლემური ლაბორატორიის უფროს-მეცნიერ თანამშრომლად. 1973-1990 წლებში მუშაობდა თსსი-ის ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგიის კათედრის დოცენტად. ამავე პერიოდში იყო საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი ანესთეზიოლოგი. 1991-1994 წლებში მოღვაწეობდა ქ. თბილისის №2 საავადმყოფოში ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგიის გამგის თანამდებობაზე, ხოლო 1994 წლიდან – აკადემიკოს კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგიის სამსახურის უფროსად.

დიდია ივანე ლაზარიშვილის დამსახურება საქართველოში ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგიის სამსახურის ჩამოყალიბების საქმეში. უფრო მეტიც, საქართველოში ის ამ საქმის ერთ-ერთი დამფუძნებელია.

ივანე ლაზარიშვილის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში გაუტკივარების თანამედროვე მეთოდების შესწავლა და მათი პრაქტიკულ მედიცინაში დანერგვა; არის 100-ზე მეტი მეცნიერული შრომის ავტორი, რომელთა უმეტესობა გამოქვეყნებულია უცხოეთში და ეხება ანესთეზიოლოგიის აქტუალურ პრობლემებს.

ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის პერიოდში მის მიერ მაღალპროფესიონალურად შესრულებულია ათასობით გაუტკივარება. მისი აღზრდილია საქართველოს ანესთეზიოლოგიური სამსახურის ექიმთა თაობები.

საქართველოს სამედიცინო საზოგადოება არასოდეს დაივიწყებს ამ უაღრესად პატიოსანი, ზნემაღალი, განსწავლული, უზომოდ შრომისმოყვარე, ინტელექტუალური შესაძლებლობის მქონე პიროვნების სახელს, წლების განმავლობაში მუხლჩაუხრელად რომ მოღვაწეობდა ქვეყნის საკეთილდღეოდ.

საქართველოს კატასტროფათა და კრიტიკულ მდგომარეობათა მედიცინის ასოციაცია;

საქართველოს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტი

სპორტი

პირველკურსელთა ტურნირი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში თვითმმართველობის ეგიდით, ნოემბრის დასაწყისში, ჩატარდა შიდა ტურნირი პირველკურსელთა 12 გუნდის მონაწილეობით: **„Tbilisi City“, „Hamodey“, „gangnam-style“, „არისტოკრატები“, „ცხოველაი“, „ბაბუს თეთრი ხალათი“, „XXI“, „კუნთები“, „მადაგამსკდარი“, „გაუჩუ“, „ჟიმნი“, „ჰადესი“.**

ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს გუნდებმა: **„არისტოკრატები“, „Tbilisi City“, „ჰადესი“, „მადაგამსკდარი“.**

ნახევარფინალური შეხვედრები დასრულდა შემდეგი ანგარიშით:

„Tbilisi City“ – „მადაგამსკდარი“ – ძირითადი დრო: 2:2; პენლები: 3:0;

„არისტოკრატები“ – „ჰადესი“ – ძირითადი დრო: 4:4; პენლები: 4:5.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მედიცინის ფაკულტეტის გუნდი: „ჰადესი“ და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის გუნდი „Tbilisi City“. თამაში დასრულდა „Tbilisi City“-ს გამარჯვებით: 7:5.

ტურნირმა გამოავლინა სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები:

საუკეთესო ფეხბურთელი – **ვახო გულიტაშვილი** (ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტი);

საუკეთესო ბომბარდირი – **ჯუბა ავალიშვილი** (მედიცინის ფაკულტეტი);

საუკეთესო მცველი – **დავით ზოდელავა** (მედიცინის ფაკულტეტი);

საუკეთესო მეკარე – **ლაშა ოსეფაშვილი** (მედიცინის ფაკულტეტი);

საუკეთესო თავდამსხმელი – **თემურ ვარდანია** (მედიცინის ფაკულტეტი);

ტექნიკური ფეხბურთელი – **მირიან ჯიქია** (ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტი);

შეირჩა პირველკურსელთა ნაკრები გუნდი თსსუ-ის ნაკრებისთვის.

საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში გაწეული დახმარებისთვის მადლიერებას იმსახურებენ თსსუ-ის თვითმმართველობის წარმომადგენლები, განსაკუთრებით – I კურსის სტუდენტი **ნიკა ყაჭეიშვილი**; ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებაში დიდია თსსუ-ის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორის – **ზაურ ფხალაძის** და ცენტრის თანამშრომლის, საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელის – **ვახტანგ ბაქანიძის** წვლილი.

საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს გადაეცათ თასები და სიგელები.

საფეხბურთო ტურნირი უცხოელთა მონაწილეობით

ჩატარდა სამედიცინო უნივერსიტეტის საფეხბურთო ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც ძირითადად მონაწილეობდა უცხოენოვანი ფაკულტეტის 10 გუნდი. ღონისძიების ორგანიზატორი გახლდათ თსსუ-ის თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი, ბატონი **კსითიკ ქუმარი,** ტურნირის მთავარი მსაჯი – თსსუ-ის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ბატონი **ვახტანგ ბაქანიძე**.

უნდა აღინიშნოს, რომ ფინალის გამორჩეული გუნდები გახლდნენ **თურქეთის** და **ნიგერიის** ნაკრებები. III საპრიზო ადგილი მოიპოვა თურქეთის მეორე გუნდმა – **„ბომბამ“.** ფინალი პენალტების სერიით წარიმართა და დასრულდა ანგარიშით: 2:1, ნიგერიის ნაკრები გუნდის სასარგებლოდ.

დასახელდნენ ტურნირის გამორჩეული მონაწილეები: მეკარე – **ბათუხან ერქუთი** (თურქეთი), მცველი – **კრისტოფერ ეზე** (ნიგერია), თავდამსხმელი _ **კლიფორდ ინჯა (**ნიგერია), საუკეთესო ფეხბურთელი – **ვიტეს ამაცუ** (ნიგერია), გოლიადორი – **აიქუთ ოვლანი** (22 გატანილი ბურთი, თურქეთი).

იმედია, უცხოელი სტუდენტები კვლავ არაერთ საინტერესო თამაშს უჩვენებენ და გაახარებენ სამედიცინო უნივერსიტეტის მრავალრიცხოვან გულშემატკივარს.

აღსანიშნავია, რომ პირველკურსელთა და უცხოენოვანი ფაკულტეტების გუნდების ტურნირთა მოწყობის მხარდამჭერი იყო თსსუ-ის სპორტის და ხელოვნების ცენტრი, ბატონი **ზაურ ფხალაძის** ხელმძღვანელობით.

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია დამდეგ შობა-ახალ წელს ულოცავს თსსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, მადლობას უხდის თანამშრომლობისა და ფოტოილუსტრაციებით უზრუნველყოფისთვის; უსურვებს შემდგომ წარმატებებს.